ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1088773

ნომერი: AR1191398

თარიღი : 20.01.2014

გაცემის თარიღი : 04.02.2014

გაცნობის თარიღი : 04.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებული ტერიტორია, (ნაკვ. 01/078) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ კვირიკაშვილი პ/ნ 01001006079
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 24 ბ. 108

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 20 იანვარს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1191398 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე ვახტანგ კვირიკაშვილმა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.30.001.099 სამრეწველო შენობის (რეზინის და პლასტმასის გადამამუშავებელი სამრეწველო შენობა) განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მიწის ნაკვეთის

განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია (კ-1) – 0,2.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება სამრეწველო შენობის (რეზინის და პლასტმასის გადამამუშავებელი სამრეწველო შენობა) ფუნქციით არ არის დაშვებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ვახტანგ კვირიკაშვილს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.30.001.099, სამრეწველო შენობის (რეზინის და პლასტმასის გადამამუშავებელი სამრეწველო შენობა) განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.